საქართველოს მთავრობის

დადგენილება №618

2019 წლის 13 დეკემბერი

ქ. თბილისი

საქართველოს სტანდარტის სსტ 85 : 2019 „წყლები ნატურალური მინერალური. საერთო ტექნიკური პირობები“ საქართველოს ტერიტორიაზე სამოქმედოდ დაშვების შესახებ

მუხლი 1

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 68-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე სამოქმედოდ დაშვებულ იქნეს საქართველოს სტანდარტი სსტ 85 : 2019 „წყლები ნატურალური მინერალური. საერთო ტექნიკური პირობები“.

მუხლი 2

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 ოქტომბრის №514 დადგენილება „საქართველოს სტანდარტის სსტ 80 : 2015 „წყალი ნატურალური მინერალური „ლიკანი“. ტექნიკური პირობები“ საქართველოს ტერიტორიაზე სამოქმედოდ დაშვების შესახებ“.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი **გიორგი გახარია**